

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა ივანე გიგინეი-შვილმა, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

ნორმის პროექტის ახალი რედაქცია 2019 წელს შეიმუშავა **მაკა ლაბარტყავამ**.

წინამდებარე პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (1.07.2019).

პროექტი დამტკიცებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე (02.08.2019).

## **თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა**

თანამედროვე ქართულში თანდებული დაერთვის სახელობით, მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა ფორმებს. ზოგი თანდებული თითო ბრუნვას ერთვის, ზოგიც – ორს. თითო ბრუნვას ერთვის: **-ზე**, **-ში**, **-თან** (მიცემითს); **-კენ**, **-თვის** (ნათესაობითს); **-მდე**//**-მდის** (ვითარებითს); **-ურთ** (მოქმედებითს). ორ ბრუნვას ერთვის **-გან** (მოქმედებითსა და ნათესაობითს) და **-ვით** (სახელობითსა (მხოლოდ თანხმოვანფუძიანებს) და მიცემითს). ყველა ეს თანდებული თანამედროვე ქართულში ერთმარცვლიანია და შერწყმულია სახელის ბრუნვის ფორმასთან, ძველ ქართულში კი მათი უმრავლესობა ორმარცვლიანი იყო და სახელს არ შეერწყმოდა. შერწყმის პროცესში ცვლილებები მოხდა როგორც ბრუნვის ფორმებში, ისე თანდებულებშიც. სწორედ ამის გამო დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ზოგჯერ გვაქვს პარალელური ვარიანტები.

პარალელურ ფორმათა არსებობას სალიტერატურო ქართულში ისიც იწვევს, რომ ზოგი თანდებული დიალექტებში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი, აღსანიშნავია ისიც, რომ ბრუნვის ფორმასთან შერწყმისას კილოებში სალიტერატურო ენისგან განსხვავებული პროცესი შეინიშნება. მწერლობის გზით ამგვარი ფორმები, ბუნებრივია, სალიტერატურო ენაშიც იჭრება.

1. **-ზე** თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის და სამი სახით გვხვდება: **-ზედა**, **-ზედ** და **-ზე**. **-ზედა** სახეობა იხმარებოდა ძველ ქართულში, ცალკე იდგა და სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ძველსავე ქართულში იგი

ნათესაობით ბრუნვასაც დაერთოდა. **-ზედ** და **-ზე** სახეობები **-ზედა**-ს გამარტივების შედეგია და შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან. შერწყმისას მიცემითი ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია ყველგან: თანხმოვანფუძიანებთანაც და ხმოვანფუძიანებთანაც. მიცემითის **-ს** დაცულია III პირის ნაცვალსახელში **მა-ს-ზე**, მაგრამ ჩვენებითი ნაწილაკების დართვისას აქაც იკარგება: **ამა-ზე, იმა-ზე...**

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული მწერლობის კლასიკოსებთან **-ზედ** და **-ზე** სახეობები თანაბრად გვხვდება.

**-ზედ** თანდებულიანი ფორმები ხშირია ილიას, ვაჟას, აკაკისა და ყაზბეგის შემოქმედებაში, აგრეთვე – უცხოურიდან ნათარგმნ ლიტერატურაში.

მაგ.: „კაცი მას ჰქვიან, ვინც მონძები **ტანზედ** ჩაიკვა და მით ამყოზს“ (ვაჟა-ფშაველა); „ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია **ტანზედ**“ (ი. ჭავჭავაძე); „რამდენადაც გაგი იქ იტანჯებოდა, იმდენად **გორაზედ** მყოფთ ნუგეში ეძლეოდათ და იმედი ჰქონდათ“ (ალ. ყაზბეგი); „დარეჯან დედოფლის სასახლე მეტეხის **გორაზედ** გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის ძეგლია“ (დედათა მონასტრის ისტორია)...

თანამედროვე ქართულში ძირითად სახეობად დასტურდება **-ზე** თანდებულიანი ვარიანტები.

მაგ.: „გლეხი კაცი მოამრავლე, სახლი **სახლზე** მიადგიო“ (მ. ჯავახიშვილი); „ჯაჭვის ხიდიდან სალომე და პარმენი **მთაზე** ზეაღმავალ დაკლაკნილ ბილიკს გაჰყვინენ“ (ნ. ლორთქიფანიძე); „ის ქალაქი დიდ **მდინარეზე** იყო გაშენებული“ (მ. ჯავახიშვილი); „მაინც არ არსებობს **დედამიწაზე** ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს“ (გ. დოჩანაშვილი); „მკვდარი რო იპოვეს კუს **ტბაზე** სამი დღის წინათ“ (აკა მორჩილაძე) და ა. შ.

თუმცა გარკვეულ შემთხვევებში (პროზასა თუ პოეზიაში) მაინც დასტურდება **-ზედა** ვარიანტიანი ფორმები.

**-ზედ** სახეობა იხმარება **-ვე** ნაწილაკის დართვისას: **თავზედ-ვე, მთაზედვე, თქვენზედვე.**

მაგ.: „ხანჯალი **ტანზედვე** გაისწორა“ (ა. წერეთელი); „გაჯავრებულმა უფალმა **მთაზედვე** უთხრა ეს ამბავი მოსეს და დაემუქრა“ (საღმრთო ისტორია, წიგნი II); „სინას **მთაზედვე** მეფემ ააშენა წმ. ეკატერინეს მონასტერი, რომელიც გაამდიდრა ყოველის შემკულობით...“; „და შენს **თავზედვე** შენგან ცილსა როგორ მოგიტმენ, ვიცი ზარმაცი შენა არა ხარ...“ (ი. მაჩაბელი, თარგმ.)...

თანამედროვე სალიტერატურო ენაში ძირითადად გვაქვს **-ზე** თანდებულიანი **-ვე** ნაწილაკდართული ვარიანტები: „**ამაზევე** მოგახსენე“; „**შენზევე** ითქვა“; „**ჩვენზევე** უკმაყოფილო ადამიანები რეკავენ“;

„**თქვენზევე** ნათქვამი სიტყვა დამხვდა წინ“. ამას მხარს უჭერს ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენის კორპუსის მონაცემებიც (იხ. დანართი №1).

-**ზედა** სახეობა იხმარება ც(ა) ნაწილაკის დართვისას: **თავზედაც, თქვენზედაც, ჩემზედაც, რომელზედაც, იმაზედაც, მასზედაც**.

მაგ.: „**თქვენზედაც** გული შემტკივა... აი ამოდენა (დაბლა ხელით აჩვენა) ხელში მჭერიხართ“ (ი. ჭავჭავაძე); „მაგრამ თემი და მისი საქმე **შენზედაც** დიდია და **ჩემზედაც**“ (ა.ყაზბეგი); „შეიტანა შიგ ორი მოკლე ფიცარი, **რომელზედაც** უნდა დაეწვინა სპიდონა“ (დ. კლდიაშვილი); „დისწულიც ტყეში გამივარდა და მამაც ციხეში მიღპება, **იმაზედაც** იტყვი, ალექსანდრე კაცი არ არისო?“ (მ. ჯავახიშვილი); „მატყლის დიდ საბანს **თავზედაც** კი წაიფარებდა და ჩათბუნების მოლოდინში ინაბებოდა“ (გ.დოჩანაშვილი)...

თანამედროვე ქართულში -**ც(ა)** ნაწილაკთან -**ზე** თანდებულებანი ფორმები უფრო ხშირად დასტურდება: **შენზეც, ჩემზეც, რომელზეც, იმაზეც, მასზეც** (იხ. დანართი №1).

მაგ.: „ეს იმის დასტური იქნება, რომ რასაც ახლა გეტყვი, **იმაზეც** ყაბული ხარ“ (ჭ. ამერიჯიბი); „**შენზეც** ვიცი, – ხმას აუწია მაკუტუნამ: – შენ იცი, რას უზამ ვასიკო მუხაშავრიას? (აკა მორჩილაძე); „მისი ღიმილი **ჩემზეც** გადმოდის და ვედარ ვუღიმი“ (გ. დოჩანაშვილი); „ყოველთვის ვჩხუბობდით და ერთადერთი გოგოა დედამიწის ზურგზე, **რომელზეც** არასოდეს არაფერი გამიფიქრია“ (აკა მორჩილაძე); „შემთხვევა იმდენად უჩვეულო იყო, რომ ღირს **მასზეც** ორიოდ სიტყვის თქმა“ („საქ. რესპუბლიკა“, 2005).

-**ზედა** თანდებული ჩვეულებრივია პოეზიის ენაში: „გამწიეს და გამომწიეს ჩამომკიდეს **ცხენზედაო**“ (ხალხური); „ვზივარ სამეფო **ტახტზედა!** შეურაცხყოფას ვინ მკადრებს? სალამს მიძღვნიან ცდაზედა“ (ვაჟა-ფშაველა); „დაბრმანდა ოქროს **ტახტზედა**, ვით მეფე ქვეყნის მპყრობელი“ (ვაჟა-ფშაველა); „მაღალ **მთაზედა** ავაგე სასახლე ახალ-ახალი, ლითონზე უფრო მაგარი, პირამიდებზე მაღალი“ (გ. ტაბიძე); „ადამის მოდგმა დაობლდა თუ გველი გაწვა **ცაზედა**“ (მ. კოსტავა); „ხან ხმელზე, ხანაც **ზღვაზედა**, არც კლდეზე ჩაეძინება“ (ვ. ხორნაშული)...

ზოგ მწერალთან -**ზედა** თანდებული გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა ფრაზის შეკვრა იყო საჭირო: „უკეთესია კოზლოვის **თარგმანზედა**“ (ი. ჭავჭავაძე); „დაასვენეს **ტახტზედა**“ (ი. ჭავჭავაძე), თუმცა თანამედროვე ქართულში -**ზედა** ვარიანტი არც ამ შემთხვევაში გამოიყენება. „უკეთესია შენს **ლექსზე**“, „დაჯდა **ტახტზე**“...

2. მიცემით ბრუნვას დაერთვის -**ში** თანდებულიც. ძველ ქართულში გვქონდა -**შინა**, შემდეგ – **შიგან**. ისინი ცალკე მდგომი თანდებულები იყო და მათ წინ სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა უც-

ვლელად დასტურდებოდა. ახლანდელი **-ში** შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან და ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია. ბრუნვის ნიშანი დაცულია მხოლოდ III პირის ნაცვალსახელთან: **მასში** (მაგრამ: **ამა-ში, იმაში...**). დიალექტებში არის **-შიდ, -ჩი, -ჩიგ, -ჩიგა** სახეობები, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ისინი არ გვხვდება.

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას გამოიყენება **-შია** სახეობაც: „ზოგი ჩემს **გულშია** ჩაიხედე“ (ი. ჭავჭავაძე); „ბატონო, გემებთ თავქუდმოხდილი, **სასახლემია** გახლდით, ვერ გნახეთ! (ა. წერეთელი); „მასწავლებლის **ოთახ-შია** კარგა ბლომად ირევა ხალხი“ (ე. გაბაშვილი)...

თანამედროვე ქართულში ასეთ შემთხვევებში უპირატესობით სარგებლობს **-ში** (და არა **-შია**) სახეობა (იხ. დანართი №2).

მაგ.: „საწოლ **ოთახშიც** გავვარდი, იქაურობაც წვილ-კვილით მოვირბინე“ (ჭ. ამირეჯიბი); „ჰო, მოგართმევენ, სულ კაპიკ-კაპიკ ჩაგითვლიან, **სახლშიც** წამოგყვებიან, არ გინდა?“ (ნ. შატაძე); „ზღვაზე ვიყავი და თან **სახლშიც** ვიყავი... კაროჩე, რას გეუბნები“ (აკა მორჩილაძე); „მზე **წვიმაშიც**, თოვლსა და ღრუბლიანობის დროსაც არ მოგვაკლებს ულტრაიისფერ სხივებს“ („საქ. რესპუბ.“, 2014) და სხვ., თუმცა დასტურდება **-შია** სახეობიანი ვარიანტებიც: „ეგვევ რწმენა ჩაენერგა ძმის **გულშია**“ (დ. კლიაშვილი); „ის შენი ქმარი **სახლშია** არ იღებს ხმას?“ (რ. ჭიუშვილი); „შენი სიტყვა უთხარი, ესეც დაგჭირდება **გზაშია** და **ცხოვრებაშია**“ (ლ. გოთუა); „გუშინ ოპოზიციას არეულობის მოწყობა **გულშია** არ გაუვლია“ („ახალი თაობა“, 2008); „ზოგი უფრო ახლობელი, **ოთახშია** შემოვიდოდა, და იმ მძიმე დღეში მყოფს, გულს შვებად მოეფონებოდა“ („ლიტ. საქ.“, 2003).

პოეზიაში **-შია** ვარიანტი ბუნებრივია: „დამისიეს, გამომიდგნენ, გავექეცი განზედაო, **აღმართშია** მე ვაჯობე, იმათ თავდაღმართზედაო“ (ხალხური).

3. **-თან** თანდებულები მიცემით ბრუნვას დაერთვის. იგი ძველი ქართულის ცალკე მდგომი თანა თანდებულისაგან მომდინარეობს, რომელიც ძველ ქართულში მიცემითსაც დაერთოდა და ნათესაობითსაც. მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** დაკარგულია (ე. ი. სთ კომპლექსი გამარტივებულია) თანხმოვანფუძიან სახელებთან, მაგრამ შემონახულია ხმოვანფუძიანებთან (**სახლ-თან, ზად-თან**, მაგრამ: **ეზო-ს-თან, მამა-ს-თან**). მთის კილოებში ორივეგან გვაქვს: როგორც თანხმოვანფუძიანებთან, ისე ხმოვანფუძიანებთან (**სახლ-ს-თან, დედა-ს-თან**). სხვა აღმოსავლურ კილოებში **ს** ზოგჯერ ხმოვანფუძიანებთანაც იკარგება (**მამათან**) ან სუსტდება და მას **ც** ცვლის (**მამა-ც-თან**), ზოგ დასავლურ კილოში კი ხმოვანფუძიან სახელებში მიცემი-

თის **ს** შემონახულია, მაგრამ დაკარგულია თანდებულის **თ** ელემენტი და **სთ** კომპლექსი ამ გზითაა გამარტივებული (**ეზო-ს-ან, მამა-ს-ან**)... ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ქართულზე გავლენას ვერ ახდენს...

-**ც(ა)** ნაწილაკის დართვისას გვექონდა ორივე სახეობა: **ამხანაგ-თანც** და **ამხანაგთანაც**; **დედასთანც** და **დედასთანაც**, თუმცა თანამედროვე ქართულში **-თანც** ვარიანტიანი ფორმები ფაქტობრივად აღარ დასტურდება. ისინი მთლიანად ჩაანაცვლა **-თანაც** სახეობამ (იხ. დანართი №3).

მაგ.: „ამ ლაპარაკში ისინი მივიდნენ **სახლთანაც**, რომელიც უფრო ქოხს ჰგავდა“ (დ. კლდიაშვილი); „სხვა საქართველოს“ ჯავრი კი **გულთანაც** არ გაუკარებია“ (ლ. სანიკიძე); „ამ რამდენიმე დღის წინ დარეკეს მის **ძმასთანაც**, რომელსაც აუხსნეს, რომ შესაძლოა სულხანის ფიზიკური ლიკვიდაცია“ („რეზონანსი“, 2005), „...დაწესებულებაში არ არის ის პირობები, რომ ბავშვმა ერთდროულად **დედასთანაც** იცხოვროს და პარალელურად სკოლაშიც იცხოვროს“ („საქ. რესპუბ.“, 2012); „მანამდე და მის შემდეგაც ბევრი ჩამოსულა, იმ **ხესთანაც** ბევრს ჩაუვლია“ („დილის გაზეთი“, 2000); „მონიტორინგის ორგანოს ხელშეკრულება გზების დეპარტამენტის კვლევით **ინსტიტუტთანაც** აქვს გაფორმებული“ („საქ. რესპუბ.“, 2010) და სხვ.

-**ვე** ნაწილაკი თანამედროვე ქართულში დაერთვის მხოლოდ გაუვრცობელ ფორმებს.

მაგ.: „ადამიანი თუ შენ გიჩივის, სარჩელი **შენთანვე** უნდა მოიტანოს“ („საქ. რესპუბ.“, 2007); „ეს თქვენთვის ძვირფასი სახსოვარია და **თქვენთანვე** უნდა დარჩესო“ („ახალი 7 დღე“, 2005); „რა თქმა უნდა, ავტო, **კარებთანვე** ჩამოუყენეს“ („მწერალი“, 2002).

4. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის **-თვის** თანდებულის. ამ თანდებულის დართვისას ბრუნვის ფორმაში ცვლილებები არ ხდება. ბრუნვის ფორმა გაუვრცობლადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი და გავრცობლადაც (**მეგობრისთვის, მეგობრისათვის; დედისთვის, დედისათვის**...).

მაგ.: „ვითომ მისთვის – **მეგობრისთვის** გაკეთდა ეგ და უარეს სამეზარში და თავსატეხში ჩავაგდეთ ახლა“ (ჭ. ამერიჯიბი); შდრ.: „ოლონდ აქტი გონიერი გვიქადაგებს: ჯერ არს რათა მეგობარმან **მეგობრისათვის** სული თვისი დადვას“ (მ. ჯავახიშვილი); „ჩონგური უჩუქნია თურმე **დედისთვის** აგურისფერჩოხიან მამაკაცს“ (ვ. გამსახურდია); შდრ.: „ოტია ახლა იმის რჩევაში იყო, თუ როგორ გამოეცხადებინა **დედისათვის** თავისი განზრახვა“ (დ. კლდიაშვილი), ან კიდევ: „რადაცნაირად ემინოდა, ერთხელ არ გაუსწორებია **მამისთვის** მზერა, მალულად თუ შეათვალიერებდა“ (გ. დოჩანა-

შვილი); „ეს რომ კოშა თოლორაიას გაუგია, გამწყრალა, **ამხანაგისთვის** საყვედური უთქვამს“ (ჭ. ამერიჯიბი).

ადმოსავლურ დიალექტებში გვხვდება **-თვინ**, **-თვინა**, **-თვი** სახეობები, რომელთაგანაც **-თვინ** ზოგ დასავლურ დიალექტშიც არის შემორჩენილი. ამ სახეობებმა ადრევე იჩინა თავი და საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის კლასიკოსთა ენაშიც (**-თვინ** – ილიასთან, ალ. ყაზბეგთან, **-თვი** – ვაჟა-ფშაველასთან).

კილოური მოვლენები სალიტერატურო ენაზე გავლენას ვერ ახდენს, შესაბამისად, გაბატონებულია მხოლოდ **-თვის** სახეობა.

5. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის **-კენ** თანდებულები. ფონეტიკური ცვლილებები არც ამ თანდებულის დართვისას ხდება და ბრუნვის ფორმა შეიძლება იყოს გავრცობილიც და გაუვრცობელიც (**სახლის-კენ** და **სახლისა-კენ**; **ეზოს-კენ** და **ეზოსა-კენ**).

მაგ.: „ჯაყოს თითქო არ ესმის, ორივე ხელს **ეზოსკენ** იქნევს, თითქო პეშვებით ოქროს უყრისო“ (მ. ჯავახიშვილი); შდრ.: „დუქნის წინ გაიარ-გამოიარა ულვაშების გრეხით, გადიარა კაკლუას **ეზოსაკენ** და გამოეხმაურა გზირს“ (ვ. ბარნოვი); „მესამე დღესვე მთელი ეს აუარებელი ხალხი, ლევანის სპა-ჯარით შევსებული, **მთისკენ** გაემართა“ (ნ. ლორთქიფანიძე); შდრ.: „დილით ადრე გავირევე **მთისაკენ** ცხვარი“ (გ. ჩოხელი); „დევნილი ნადირის უნებური სიამაყით დაგებრა თხელი ნესტოები, **ზღვისკენ** იცქირები“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „უნდა დაისვენოთ, გადით პარიზიდან – ან **ზღვისკენ** გაისეირნეთ“ (მ. ჯავახიშვილი)...

მთის კილოებში (მაგ., ფშაურში) გვაქვს **-კე**, **-კ** სახეობებიც, რომლებიც ხშირად დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. **-კე** ვარიანტი ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში ერთადერთი მართებული ვარიანტია **-კენ**.

6. **-მდე** // **-მდის** თანდებული დაერთვის ვითარებითი ბრუნვის ფორმას. ძველ ქართულში **-მდე** // **-მდის** თანდებულების წინ **დ** მეტწილად დაცული იყო (**დღე-დ-მდე** // **დღე-დ-მდის**; **სახლ-ად-მდე**), თუმცა ადრევე დაიკარგა. მხოლოდ თანხმომავან ფუძიან სახელებშია შემონახული ვითარებითი ბრუნვის ნიშნის **ა** ელემენტი (**სახლ-ა-მდე**). ძველ ქართულში გვხვდებოდა ამ თანდებულის ორივე სახეობა. XVI-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში მათ დაემატა **-მდენ**, **-მდენა**, **-მდი**, **-მდინ**, **-მდინა**, **-მდისინ**, **-მდისინა** ვარიანტები, რომლებიც ამჟამად დაცულია კილოებში, ზოგი მათგანი გვხვდება XIX საუკუნის II ნახევრის მწერალთა ენაშიც. მაგ.: „**შემო-**

**დგომამდინ** გაუძლო“ (ი. ჭავჭავაძე); „სოლომონმა **ჭიშკრამდი** მიაცილა“ (დ. კლდიაშვილი); „ხორციდან დაწყებული **სულამდინ** გამცალა“ (გ. წერეთელი).

-**მდი** სახეობა გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში (ა. წერეთელი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...), ამ ფორმას იცავდა სილოვან ხუნდამე, ხოლო **-მდინ** სახეობა საკმაოდ ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებთან:

-**მდი**: „მმაო ნიკო! მე სხვადასხვა შემთხვევის გამო **ხუთშაბათამდი** ვერ მოვდივარ“ (ა. წერეთელი); „სკოლაში იმას თუ გასწავლიან, **შუადღემდი** იძინეო!“ (ვაჟა-ფშაველა); „საწყალ სონიას არც კი გაუგია, როგორ გამოიარა გზა ქველიძიდან **სახლამდი**“ (დ. კლდიაშვილი); „იმას მოგახსენებდით, ბატონო, **შუადღემდი** სანახავადაც ვერ მიხვალ...“ (გ. ერისთავი); „ეზო სახლიდან **ჭიშკრამდი** ნელ-ნელა დაღმართ მიდის“ (ნ. ლორთქიფანიძე)...

-**მდინ**: „თქმულა, რომ არავინ დარჩება **ბოლომდინ** მოუძღურავი“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“); „ლუარსაშმა სიზმარი თავიდან **ბოლომდინ**, როგორც იყო, ისე უამბო“ (ი. ჭავჭავაძე); „მე უფალმა იმოღენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს **ბოლომდინ**, საფლავის **კარებამდინ**, მივიტან“ (ი. ჭავჭავაძე); „ეს ერთი თუმანი მომცა და ამაში **შემოდგომამდინ** თხუთმეტი მანეთის ბარათი ჩამომართვა“ (ა. ფურცელაძე); „მაინც ღრმა **შემოდგომამდინ** იცოდა სოფლად ყოფნა, მხარში ედგა თავის დედამთილს“ (ვ. ბარნოვი)...

-**მდე**: „**ფოთამდე** ორ დღეს მოვუნდი სიარულს“ (ა. წერეთელი); „უჰ, **აქამდე** როგორ ვერ მივხვდი – თქვენ ძალიან ჰგავხართ აურელიანო – სქელს“ (გ. დოჩანაშვილი); „იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს **დილამდე** ძილი არ მიჰკარებია“ (ი. ჭავჭავაძე); „**ქალაქამდე** დიდი გზა გვაქვს“ (მ. ჯავახიშვილი); „საკვირველია **ჩემამდე** რატომ არ მოვიდა თოთიას და მანგას შუღლი“ (მ. ჯავახიშვილი); „თელავიდან **ქალაქამდე** პატარა მანძილია“ (მ. ჯავახიშვილი); „ყრმა რომ **ცამდე** მართალი იყოს ბატონს ვერ უჩივლებს, ნება არა აქვს“ (მ. ჯავახიშვილი); „მიყვარს მარტო ქარიშხალი თვალუწვდენელ ზღვიდან **ზღვამდე**“ (გ. ტაბიძე); „და ეს ქვეყანა აივსოს **ცამდე**, შხამით და გესლით მორიელისა“ (ლ. ასათიანი); „რას ვხედავ – რამდენიმე ეკელ მეზობელს, **ჩემამდე** მოუყრა აქ თავი“ (დ. ტურაშვილი); „ვიდმანი **ეკლესიამდე** კრემისფერი ლიმუზინით მივიდა“ („ხვალინდელი დღე“, 2006).

-**მდის**: „დილიდან **სადამოდის** ვდიე ხან ერთს და ხან მეორეს“ (ა. წერეთელი); „**ფერისცვალებამდის** არ მოიცდის ხოლმე“ (ი. ჭავჭავაძე); „წაჰყვა დედოფალს **ეკლესიამდის** და იქიდან ყურთწამლები მაყრულით გამოჰყვა ახლად ჯვარდაწერილებს“ (დ. კლდიაშვილი); „გულგადატრიალებულმა ძლივს მიაღწია ცოცხალმა **სახლამდის**“ (დ. კლდიაშვილი); „**ქალაქამდის** ევ-

ლოთ და ეხლა, ერთ გუნდად შეჯგუფებულნი, გატაცებით გაჰმღეროდნენ“ (ვ. ბარნოვი); „კი მაგრამ, სად იყავ **აქამდის** გადაკარგული, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო?“ (დ. შენგელაია); „დღეს მე მსურს ვიმღერო ისე, როგორც **ჩემამდის** არავის უმღერია, რადგან ეს სიმღერა შენზე იქნება“ (ტ. ტაბიძე); „ზღვიდან ცამდის, ციდან **ზღვამდის**, მზის ალმური ჩადის... ჩადის!“ (გ. ტაბიძე).

-**ც** ნაწილაკის დართვისას ჩნდება მავრცობი ხმოვანი: **აქამდის** – **აქამდისაც**, **სახლამდის** – **სახლამდისაც**, **სკოლამდის** – **სკოლამდისაც**...

თანამედროვე ქართულში ძირითადად **-მდე** ვარიანტიანი ფორმები გვაქვს. **-მდის** აქტიურად გამოიყენება რამდენიმე გაქვავებულ ფორმაში – **ნახვამდის**, **ხვალამდის**, თუმცა ეს უკანასკნელიც (**ხვალამდის**) ნელ-ნელა **-მდე** ვარიანტზე გადადის.

ხემოთქმული ეხება როგორც გამოთხოვების, დამშვიდობების აღმნიშვნელ გამოთქმებს, მაგ.: „აბა, მშვიდობით, **ხვალამდე**“, შდრ.: „– **ხვალამდის!** – მითხრა იანგულიმ და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ზედა ტუჩი შესივებული ჰქონდა“ (ნ. დუმბაძე), ისე დროის ზმნისართებს, მაგ.: „**ხვალამდე** არ ჩამოვილიანო, ძობამ რომ უთხრა, – ვინ აღარ ჩამოვილის?“ (ჭ. ამირეჯიბი); „რას ფიქრობ, ვერტმფრენი რომ გავუშვათ და **ხვალამდე** აქ დავრჩეთო“ (ვ. გამსახურდია); „ნუღარ ტირი, ძამიკო, **ხვალამდე** გასძელ, და სამ ულუფას მოვაცემინებ“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „მხოლოდ გთხოვთ **ხვალამდის** დამაცადოთ, დღეს მეტად სუსტადა ვარ“ (ა. ყაზბეგი); „თქვენი პატივისცემით გამოძიება **ხვალამდის** გადამიდგია, – და წყნარად გავიდა“ (ა. ყაზბეგი); „შენ აქ მოისვენე **ხვალამდის**, – ჯვარი გადასახა, შიმჩამდგარი თვალებით ერთხელ კიდევ შეხედა ყრმას (გ. აბაშიძე“).

გამოთხოვების, დამშვიდობების შემთხვევაში, ბუნებრივია, მართებულ ფორმად **-მდის** თანდებულისანი (**ნახვამდის**) ვარიანტი მიიჩნევა, რასაც მხარს უჭერს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზიც, მაგ.: „ხათუთა, ჩემო ხათუთი! **ნახვამდის**, გენაცვალოს ვაჟიკა, **ნახვამდის!** (მ. ჯავახიშვილი); „წარმოიდგინეთ, სულ სხვა რამ შემძახა: **ნახვამდის**, სიმიკო! (გ. დოჩანაშვილი); „აბა, **ნახვამდის**, არ დაგავიწყდეს! – და ბიჭი გადაუხვევს გზაბოძალში“ (ნ. ლორთქიფანიძე); „**ნახვამდის!** – მივამახე და სამაგიერო პასუხს აღარ დაველოდე“ (დ. შენგელაია)... თუმცა გვხვდება დამშვიდობების, გამოთხოვების შინაარსით გამოყენებული **-მდე** თანდებულისანი (**ნახვამდე**) ფორმაც: „გზა მშვიდობისა! **ნახვამდე**, – მიუგო გილიომენმა...“ (გ. ფლობერი)...



როცა ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეული დროის ზმნისართის ფუნქციით არის გამოყენებული, **-მდე** თანდებულიანი ფორმები სჭარბობენ **-მდის** თანდებულიანი ფორმებს (იხ. დანართი № 4).

მაგ: „ყოველი დღე, მის **ნახვამდე** რომ ედო, ღვთის საჩუქრად მიაჩნდა“ („ლიტ. პალიტრა“, 2008); „მათ მიერ წარმოდგენილი შედეგები იუმორისტული ვიდეოფილმების **ნახვამდე**, ნახვის დროს და შემდეგ, დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ“ („საქ. რესპუბ.“, 2010); „ჩემი ოჯახი აღნიშნული ვიდეოფირის **ნახვამდე**, გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა“ („რეზონანსი“, 2007)...

7. **-გან** თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის: ნათესაობითსა და მოქმედებითს. ნათესაობითზე დართვისას ბრუნვის ფორმა გავრცობილად შეიძლება იყოს წარმოდგენილი და გაუვრცობლადაც (**შვილისგან** და **შვილისაგან**; **გოგოსგან** და **გოგოსაგან**; **ძმისგან** და **ძმისაგან**...).

მაგ.: „თედოს ყინჩა წითელი კვერცხი, მართლა კვერცხი კი არა, **ხისგან** იყო გამოთლილი“ (თ. ბიბილური); შდრ.: „სამაგიეროდ მრავლად მოიპოვებოდა იქ კოდი, **ხისაგან** გამოჭრილი, მრგვალი და გრძელი“ (გ. რობაქიძე); „აქლემიც იგივე **მიწისგან** გამოძერწაო ღმერთმა, რა მიწისგანაც პირველი ადამიანი“ (ლ. სანიკიძე); შდრ.: „ევროპის სტეპები გადათქერეს და სრულიად ევროპული სამყარო **მიწისაგან** აღგვისა და გაცამტვერების წინაშე დააყენეს“ (ლ. სანიკიძე); „**მზისგან** შერუჯულ შიშველ წვივებზე კუნთების ჯაჭვი უთამამებს“ (ლ. ქიაჩელი), შდრ.: „მუხისფოთლებიანი შტო ხიროიანად შეუკრავს და გვირგვინად დაუდგამს თავზე **მზისაგან** დასაფარავად“ (ნ. ლორთქიფანიძე).

**-გან** თანდებულიანი ნათესაობითი აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მოგვიგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე **მეგობრისგან**... შაქარს **ჭარხლისგან** ამზადებენ...), ხოლო **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს, შესაბამისად, მოგვიგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? მამასადამე, გამოხატავს დაწყებითობის სემანტიკას.

**-გან** თანდებული მოქმედებითი ბრუნვის მხოლოდ გაუვრცობელ ფორმას ერთვის.

დაწყებითის ფუნქციით ძველ ქართულში იხმარებოდა უთანდებულო ფორმა (ივინი წარვიდეს ადრე მიერ **საფლავით**. – მ. 28,8; გარდამოჭდა იგი მიერ **მითით**. – მ. 8,1; მე ოდეს აღვმალდე **ქუეყანიით**. – ი. 12,32;

მოვიდეს **ქართლით**. – ხანძთელი). შემდგომ ამ ფორმას **-გან** თანდებულ-  
ლი დაერთო (**პირველითგან** იყო სიტყვა. – ი. 1,1; დასვა იობს წყლულება  
ბოროტი **ფერჯითგან** ვიდრე თავამდე. – იობ. 2,7), რასაც მოჰყვა ფონეტი-  
კური პროცესები: ჯერ თანდებულის მჟღერი **გ**-ს გავლენით ბრუნვის  
ნიშანი **თ** გამჟღერდა და **დ**-დ იქცა (**ქალაქ-იდ-გან**), შემდეგ თანდე-  
ბულის **გ**-ც დაიკარგა და დაგვრჩა **ქალაქ-იდ-ან**. ხმოვანფუძიან უკვე-  
ცელ სახელებთან გვაქვს **-დან: წყარო-დან, სამშობლო-დან...** ფაქ-  
ტობრივ, ფორმალურად **-გან** თანდებულმა შეიცვალა სახე. ამიტო-  
მაც სამეცნიერო ლიტერატურაში **-დან// -იდან** თანდებულებადაც გა-  
იაზრება. ამდენად, თანამედროვე ქართულში **-იდან** და **-დან** ვარიან-  
ტები შეიძლება პირობითად თანდებულებად მივიჩნიოთ.

უთანდებულო ფორმები დაწყებითი ბრუნვის ფუნქციით ძვე-  
ლი ქართულის მსგავსად დაცულია მთის დიალექტებში:

„ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:

შემოგვესია მტერიო,

**ფშავით** მოიდეს ლაშქარი,

ჩემი ერთგული ერიო“ (ვაჟა-ფშაველა).

„მე კვირია ვარ, მიტირე,

**თუშეთით** მოსულ გზირია“ (ვაჟა-ფშაველა).

„ავა და ჩავა კახეთსა, **ფშავით** ამბავსა ჰზიდავსა“ (ვაჟა-ფშაველა).

**-იდ-გან** ფორმა საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის მწე-  
რალთა ენაში. ამჟამადაც დაცულია ზოგ კილოში (მაგ.: იმერულში).

მაგ.: „**შორიდგან** ვუმზერდე სასურველ მხარეს“ (გრ. ორბელიანი);  
„ცისა ფერს... **სიყრმიდგან** ვეტრფოდი“ (ნ. ბარათაშვილი); „**შორიდგან** სო-  
ფელმან მიმაგდო ყარიბობასა, გარნა სახე შენი ვით ვცე თმობასა?“  
(ალ. ორბელიანი); „მათ დაღვრემილს სახეზედ ღიმილი ჩნდებოდა და კმა-  
ყოფილების შუქი გამოდიოდა მათი კეთილი **თვალეზიდგან**“ (ნ. ლომოური);  
„ასეთსა გდრუზავ მაგ გოგრაში, რომ **თვალეზიდგან** სულ მაშხალები წამოყ-  
რო!“ (ეკ. გაბაშვილი); „ქალებს მეტი სიცილით **თვალეზიდგან** ცრემლები  
სდიოდათ, კაცების ტაშისკვრით და ვაშას მახილით სახლი ზანზარებდა“  
(ეკ. გაბაშვილი); „**შორიდგან** რომ შეგეხედათ ქალებისთვის, მაშინვე იფიქ-  
რებდით, რომ მიძია იმათ არ ეკუთვნოდა“ (ალ. ყაზბეგი); „**თვალეზიდგან**  
ცეცხლსა ჰყრიდა“ (ალ. ყაზბეგი)...

ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოკიდებული, **-გან** თანდე-  
ბულიან მოქმედებითს **დაღმა // დაღმე**-დან მომდინარე **-დამ** თანდე-  
ბულიანი ფორმები შეენაცვლა ბევრ შემთხვევაში. განსაკუთრებით

ფართოდ მოიკიდა -**დამ** თანდებულისაზნა ფორმებმა ფეხი XVII-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში და კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში (ილიასთან, ვაჟასთან...): „**გლადიკავკასიდან** ტფილისამდე“ (ი. ჭავჭავაძე); „გევედრები, **გზიდან** ჩამომეცალე“ (ი. ჭავჭავაძე); „**მთიდან** ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას...“ (ვაჟა-ფშაველა); „მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ **ქალაქიდან**“ (ი. ჭავჭავაძე); „მეორე დღეს უნდა **ქალაქიდან** გავსულიყავით, მე მღვდლის სანახავად წავედი“ (ი. ჭავჭავაძე).

-**დამ** თანდებულის საკითხი სალიტერატურო ქართულში ამჟამად აქტუალური აღარაა. მის ნაცვლად, ჩვეულებრივ, -**დან** ვარიანტი გვაქვს. -**დამ** თანდებული ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ კილოებში, დასავლური კილოებიდან გადმონაშთის სახით გურულშია გვხვდება.

გასული საუკუნის სალიტერატურო ქართულშიც გვქონდა და დღესაც გვხვდება -**გან** და -**დან** (//-**იდან**) თანდებულების აღრევის შემთხვევები.

1. -**გან** თანდებულის ნაცვლად -**იდან** არის გამოყენებული:

„**ყმობიდან** გაგათავისუფლებო“ (ლ. არდაზიანი); „გულდამწვარი ვარ **ზოგიერთებიდან**“ (ე. ნინოშვილი); „**თიხიდან** გამომერწილი თიხადვე უნდა მიიქცეო“ (ფოლკლორი, ნიარამი); „სალმონელა უმეტესად ფრინველისა და მათი **კვერცხიდან** მომზადებულ საკვებში ხვდება“ („ხვალინდელი დღე“, 2005); „ვინმემ იცით, როგორ კეთდება ბაბუაწვერას **ყვავილებიდან** თაფლი?“ (გუგლი); „სადღაც შორს, მთებში, ლურჯი მიწა მოიპოვება და ლურჯ ფერს იმ **მიწიდან** ამზადებენო“ (გუგლი); „საქორწინო სუფრაზე ყოველთვის არის ე. წ. „ქორწინების ნამცხვარი“, რომელსაც „ხილის ნამცხვარი“ ეწოდება და მზადდება **ალუბლიდან**“ (გუგლი); „პატარებს ათასნაირ ზღაპარსა თუ არაკს გვიყვებოდა, **ხიდან** სათამაშოებს გვითლიდა“ (გუგლი); „**კარტოფილიდან** ათასნაირი კერძი მზადდება“ (გუგლი); „**კვერცხიდან** გოგლი-მოგლი გააკეთა და კაკაოც შეურია“ (გუგლი)..

2. -**დან** (//-**იდან**) თანდებულის ნაცვლად -**გან** არის გამოყენებული: „სინათლე... შემოდოდა **ფანჯრებისაგან**“ (ე. ნინოშვილი); „გაგრის ცენტრში გთავაზობთ **ზღვისგან** 50 მეტრის მანძილზე მდებარე ერთ ჰექტარ მიწას“ (გუგლი); „**სანაპიროსგან** მოშორებით მოჩანდა სასტუმრო „აფხაზეთი“ (გუგლი); „**ზღვისგან** სახლამდე მანძილი უფრო და უფრო გრძელდება“ (გუგლი)...

ძველ ქართულში -**გან** თანდებულისანი ნათესაობითის გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა დღევანდელ ქართულში -**გან** თანდებუ-

ლიანი მოქმედებითი იხმარება, ჩვეულებრივი იყო: „გამოველ **ქუყყა-ნისგან** შენისა და **ნათესავისაგან** შენისა და **სახლისაგან** მამისა შენისა“ (აბო); „ვითარცა **ზღვსგან** წუეთი წყალი ვინმე აღმოილო“ (ხანძთელი).

-**ც(ა)** ნაწილაკის დართვისას ორი ფორმა გვქონდა: **ძმისაგან-ც** და **ძმისა-გან-ა-ც**, ხოლო -**ვე** ნაწილაკის დართვისას – მხოლოდ ერთი: **ძმისაგან-ვე**. თანამედროვე ქართულში **ძმისაგან-ც** ტიპი ფაქტობრივად აღარ გამოიყენება, ხოლო **ძმისაგანვე** ფორმა ჩვეულებრივია.

-**განაც**: „**დედისაგანაც** ბევრი რამ ვისწავლე, იმიტომ რომ მთელი ცხოვრება ბავშვებთან მუშაობს“ („დილის გაზეთი“, 2001); „წარმატებებით წაქეზებული მშობლები თვით **შვილებისაგანაც** მოითხოვენ სწრაფ და წარმატებულ შედეგებს“ („ახალი ვერსია“, 2003); „...თვითონ ღვიძლი **ძმისაგანაც** შეუძლია განაწყენდეს“ (lib.ge) და სხვ.

**8. -ვით** თანდებული თანამედროვე ქართულში ორ ბრუნვას დაერთვის: მიცემითსა და სახელობითს. XIX საუკუნის ზოგი მწერლის (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლომოური) ენაში -**ვით** ნათესაობით ბრუნვასთანაც დასტურდება. ამგვარი ფორმები ზოგჯერ თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაშიც გვაქვს: „ვარსკვლავს თავის ფიქრებში საკუთარს ეძახდა, მასთან საუკეთესო **მეგობრისავით** იყო“ (გუგლი); „კარი ძველი იყო, **სახლისავით**. კიბეები ჭრიალებდა. მოაჯირი ცოტათი მორყეული იყო“ (გუგლი); „დარწმუნებული ვარ იმ **კაცისავით** პირველები გაიქცვიან ბრძოლის ველიდან“ (გუგლი)...

**მეგობრისავით, სახლისავით, კაცისავით** ტიპის წარმოება მიუღებელია სალიტერატურო ქართულისათვის.

1. მიცემით ბრუნვაში -**ვით** დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი სახელების გავრცობილ ფორმებს მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში:

მაგ.: „ისე ნათლად გამოსთქვა აზრი, რომ ყველამ გაგიგოს და **კამერსავით** აღარ გალოდნინოს“ (მ. ჯავახიშვილი) „ოჯახი შენ უნდა ასწიო, – და ჩაიხუტა **შვილსავით**, ცრემლიან გამონათქვამით“ (აკა მორჩილაძე); „მთაწმინდა **ბატსავით** გაყვითლებულ ცას აეტუზა“ („ლიტ. პალიტრა“, 2008); „მისი უშნოდ გამოჩორგვილი, კახურ **ჩურჩხელბსავით** გასუქებული, კოტიტა თითები ხმლისა და თოფის ასაღებად ვერ გამოდგება“ (კ. გამსახურდია); „მხატვარი სკამიდან ჩამოვიდა, უკან დაიხია, **სხვებსავით** შეაცქერდა სურათს“ (აკა მორჩილაძე); „ჭკები ფრენისას ითოშებოდნენ მწვანე ცაში, **ქვებსავით** ცვიოდნენ ძირს“ („საქ. რესპუბლიკა“, 2006); „მელქისედეკ კათალიკოსი **კალისავით** ახტა და დახტა, უსასტიკესად დასჯა მოითხოვა მისი“ (კ. გამსა-

ხურდია); „და ეს ოცნება **მზესავით** დადის, დავდივარ ნელა საფლავებს შორის“ (ტ. გრანელი); „ვარ ერთი ვინმე **ცასავით** სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“ (მ. გელოვანი); „თუმცა ისიც უნდა გითხრა, რომ მეც **შენსავით** არ დავცარიელებულვარ“ (ვ. გამსახურდია); „რავა, რომში ხაჭაპურს კაცი აცხობდა? **ჩემსავით** ყოფილან მაგინი, ბატონო (გ. დოჩანაშვილი).

## 2. სახელობით ბრუნვაში -ვით დაერთვის:

2.1. ბოლოთანხმოვნიან სახელებს მხოლოდითა და მრავლობით რიცხვში:

მაგ.: „ბედნიერი, ბაყაყივით გაბღენძილი ზაალი არსენას აღარც კი ამჩნევდა, ბებერი **ვაგივით** დააბოტებდა“ (მ. ჯავახიშვილი); „მახლობელი მთები შავი **დევებივით** ჩასაფრებულან“ (მ. ჯავახიშვილი); „კალოს **ცხენებივით** ჯაფა გასწიეს, დადნენ და დაილივნენ“ (მ. ჯავახიშვილი); „ქორივით გადახედა ბაბალეს, რომელიც მის თვალთახედვის ქვეშ **მწყერივით** გაინაბა“ (გ. ლეონიძე); „ზილფები გადმოსკდომოდა სწორედ აყვანილ, გამართულ მხრებზე უდაბნოს **გველებივით** წამოსეული“ (ვ. გამსახურდია); „მველი იფნი ჭრიალებდა, მკლავმსხვილა და ტანხატულა, ქარმა ნისლი თრიალეთთან **კურდღელივით** აახტუნა“ (მ. გელოვანი); „მოვიდნენ პოლიტიკაში და გაჭრილი **ვაშლებივით** გვანან ერთმანეთს“ („ახალი თაობა“, 2013).

### 2.2. ბოლოხმოვნიანებს მრავლობით რიცხვში:

მაგ.: „და თავისთვისაც ზრუნავდა – ისევ დანარჩენ **დედებივით**“ (მ. ჯავახიშვილი); „**მთებივით** მაღლა აზიდული ტალღები ნაპირებს გრილით ეხეთქებოდნენ“ (ლ. ქიჩელი); „წელიწადის ეს ოთხთავ დრო ღვიძლი **მმებივით** იყვნენ ჩემთვის“ (დ. შენგელაია).

ამრიგად, -ვით დაერთვის ბოლოხმოვნიანი სახელებისა და ნაცვალსახელების მხოლოდითი რიცხვის მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფორმებს (გავრცობილს), ხოლო ბოლოთანხმოვნიანი სახელების მხოლოდითი რიცხვის მიცემითისა (გავრცობილის) და ორივე რიცხვის სახელობითის ფორმებს.

აღსანიშნავია ერთი თავისებურება: როცა -ვით ბოლოთანხმოვნიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, მას ჩვენებითი ნაცვალსახელი მიცემითი ბრუნვის ფორმით ეწყობა (და არა სახელობითით): **ამ კაცივით, მაგ კაცივით** და არა: **ეს კაცივით, ეგ კაცივით, ის კაცივით**.

მაგ.: „ვინ უკეთ ხედავს – ჯანმრთელი? თუ – **ამ კაცივით** – საყვარი?“ (ტ. ჭანტურია); „კანონის მიღება და რეალიზაცია როგორ... შენ გელანდებ **მაგ კაცივით?**“ (გუგლი); „თვალების ფორმა ისეთივე ჰქონდა, როგორც იმას, რომელიც **ამ ქალივით** ტანკენარი იყო“ (Lib.ge); „სიტყვაც ამაღ მოუყოვნავდა

კალმის წვერიდან, ამ ყვავილივით ფეროვანი და სურნელოვანი“ („საქ. რესპუბ.“, 2011)...

ამრიგად, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ბრუნვის ფორმასთან შერწყმული თანდებულიანი სახელების მართლწერისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი წესები:

1. იმ შემთხვევაში, როცა თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, **-ზედა, -ზედ, -ზე** სახეობათაგან თანამედროვე ქართულში ერთადერთ სწორ ფორმად უნდა დარჩეს **-ზე (თავზე, ხელზე, მიწაზე** და არა: **თავზედ, ხელზედ, მიწაზედ...)**.

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მართებულად უნდა მივიჩნიოთ როგორც ძველი (**-ზედა**) სახეობა, ისე თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებული **-ზე** ვარიანტიანი ფორმები (**მთაზედაც // მთაზეც, მიწაზედაც // მიწაზეც, სახლზედაც // სახლზეც, ჩემზედაც // ჩემზეც, მეგობარზედაც // მეგობარზეც, რომელზედაც // რომელზეც...)**.

**-ვე** ნაწილაკის დართვისას მართებულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ როგორც ძველი სახეობის ხმოვანმოკვეცილი (**-ზედ: მთაზედვე, მიწაზედვე...)**, ისე თანამედროვე ქართულში უკვე დამკვიდრებული **-ზე** ვარიანტიანი ფორმები: **სახლზევე, ჩემზევე, შენზევე**.

2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთი სახეობაა **-ში**. **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას შეიძლება იხმარებოდეს **-შია** სახეობაც: **ამაშიც და ამაშიაც; მთაშიც და მთაშიაც; ბარშიც და ბარშიაც**. ამათგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირველს: **ამაშიც, მთაშიც, ბარშიც**.

3. **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მართებულად უნდა მივიჩნიოთ **-თანა (დედასთანაც, მეგობართანაც, სახლთანაც...)**, ხოლო **-ვე** ნაწილაკიან ფორმებთან – **-თან** სახეობა (**დედასთანვე, ძმასთანვე, თქვენთანვე, ჩემთანვე**).

4. **-გან** თანდებულიან სახელებზე **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მიღებულ **-გან-ც** და **-გან-ა-ც** ფორმებისგან მართებულად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული **-გან-ა-ც** ვარიანტი (**მეგობრისაგანაც, ძმისაგანაც...)**, ხოლო **-ვე** ნაწილაკის დართვისას – მხოლოდ გაუვრცობელი ფორმა: **ძმისაგან-ვე**.

5. **-მდე, -მდის, -მდი, -მდინ** და სხვა სახეობათაგან მართებულ ფორმად უნდა დარჩეს მხოლოდ ორი: **-მდე** და **-მდის (ქალაქამდე**

და ქალაქამდის; აქამდე და აქამდის), ამათგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესია **-მდე** ვარიანტი.

6. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს **-გან** და **-დან** (**//-იდან**) თანდებულებიანი ფორმები:

6.1. **-გან** გამოიყენება მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე **ამხანაგისგან** (**ამხანაგისაგან**); შაქარს ამზადებენ **ჭარხლისგან** (**ჭარხლისაგან**); მიწვევა მიიღეს **უნივერსიტეტისგან** (**უნივერსიტეტისაგან**)...

6. 2. **-დან** (**//-იდან**) გამოიყენება მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (**ქალაქიდან** ჩამოვიდა, **დილიდან** წვიმდა, **სამშობლოდან** დაბრუნდა...).

7. **-ვით** თანდებული მხოლოდით რიცხვში უნდა დაერთოს მიცემითის გავრცობილ ფორმებს (ხმოვანფუძიანებსაც და თანხმოვანფუძიანებსაც): **დედასავით**, **მზესავით**, **ლომსავით**, **კაცსავით**, ხოლო სახელობით ბრუნვაში – მხოლოდ თანხმოვანფუძიანებს (**კაცივით**, **მეგობარვით**, **ლომვით**), მრავლობით რიცხვში კი – როგორც სახელობითის, ისე მიცემითის ფორმებს: **კაცებივით**, **მეგობრებივით**, **დედებივით**, **ბავშვებსავით**, **ჩურჩხელებსავით**...

პირის ნაცვალსახელოზე **-ვით** თანდებულის დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე უნდა იქნეს გამოყენებული და ერთადერთ სწორ ფორმად ჩაითვალოს მიცემითბრუნვანი ვარიანტები (**ჩემსავით**, **შენსავით**, **ჩვენსავით**, **თქვენსავით**).

8. ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე **-თვის**, **-კენ** და **-გან** თანდებულების დართვისას ორივე ვარიანტი (გაუვრცობელიც და გავრცობილიც) მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული: **მმისთვის** და **მმისათვის**, **სახლისკენ** და **სახლისაკენ**, **მეგობრისგან** და **მეგობრისაგან**.

დანართი №1

2019 წლის სტატისტიკური მონაცემები

**ზევე/ზედვე**  
**ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით:**

რომელზევე – 0	რომელზედვე – 0
მასზევე – 11	მასზედვე – 3
თქვენზევე – 1	თქვენზედვე – 0
ჩემზევე – 3	ჩემზედვე – 2
მთაზევე – 2	მთაზედვე – 0
თავზევე – 1	თავზედვე – 1

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის**  
**კორპუსის მიხედვით:**

რომელზევე – 0	რომელზედვე – 0
მასზევე – 0	მასზედვე – 0
თქვენზევე – 0	თქვენზედვე – 0
ჩემზევე – 0	ჩემზედვე – 0
მთაზევე – 0	მთაზედვე – 0
თავზევე – 1	თავზედვე – 0



**ზეც//ზედაც**  
**ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით:**

რომელზეც – 17119	რომელზედაც – 2269
იმაზეც – 2847	იმაზედაც – 68
მასზეც – 172	მასზედაც – 7
თავზეც – 383	თავზედაც – 33
ჩემზეც – 182	ჩემზედაც – 18
თქვენზეც – 72	თქვენზედაც – 3

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის**  
**კორპუსის მიხედვით:**

რომელზეც – 317	რომელზედაც – 493
იმაზეც – 48	იმაზედაც – 21
მასზეც – 3	მასზედაც – 1
თავზეც – 21	თავზედაც – 9
ჩემზეც – 8	ჩემზედაც – 8
თქვენზეც – 3	თქვენზედაც – 2

2019 წლის სტატისტიკური მონაცემები

**ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით:**

სახლშიც – 599	სახლშიაც – 25
ოთახშიც – 104	ოთახშიაც – 5
გზაშიც – 33	გზაშიაც – 4
წვიმაშიც – 27	წვიმაშიაც – 0
ამაშიც – 504	ამაშიაც – 14
მთაშიც – 30	მთაშიაც – 2
ბარშიც – 50	ბარშიაც – 2

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის  
კორპუსის მიხედვით:**

სახლშიც – 27	სახლშიაც – 21
ოთახშიც – 13	ოთახშიაც – 8
გზაშიც – 3	გზაშიაც – 2
წვიმაშიც – 3	წვიმაშიაც – 1
ამაშიც – 11	ამაშიაც – 11
მთაშიც – 2	მთაშიაც – 0
ბარშიც – 1	ბარშიაც – 1

2019 წლის სტატისტიკური მონაცემები

**ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით:**

სახლთანაც – 5	სახლთანც – 0
გულთანაც – 5	გულთანც – 0
გზასთანაც – 5	გზასთანც – 0
ტყესთანაც – 1	ტყესთანც – 0
ძმასთანაც – 1	ძმასთანც – 0
დედასთანაც – 9	დედასთანც – 0
ხესთანაც – 4	ხესთანც – 0
უნივერსიტეტთანაც – 4	უნივერსიტეტთანც – 0

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის  
კორპუსის მიხედვით:**

სახლთანაც – 2	სახლთანც – 0
გულთანაც – 0	გულთანც – 0
გზასთანაც – 0	გზასთანც – 0
ტყესთანაც – 0	ტყესთანც – 0
ძმასთანაც – 0	ძმასთანც – 0
დედასთანაც – 0	დედასთანც – 0
ხესთანაც – 1	ხესთანც – 0
უნივერსიტეტთანაც – 0	უნივერსიტეტთანც – 0

2019 წლის სტატისტიკური მონაცემები

**ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით:**

სალამომდე – 1149	სალამომდის – 45
ფერისცვალებამდე – 2	ფერისცვალებამდის – 0
ჩემამდე – 556	ჩემამდის – 10;
ქალაქამდე – 76	ქალაქამდის – 5
ცამდე – 588	ცამდის – 58
ზღვამდე – 286	ზღვამდის – 11
სახლამდე – 539	სახლამდის – 5
უნივერსიტეტამდე – 34	უნივერსიტეტამდის – 0
აქამდე – 24106	აქამდის – 318
ხვალამდე – 212	ხვალამდის – 23
ნახვამდე – 31	ნახვამდის – 616

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის  
კორპუსის მიხედვით:**

სალამომდე – 114	სალამომდის – 40
ფერისცვალებამდე – 0	ფერისცვალებამდის – 0
ჩემამდე – 30	ჩემამდის – 0
ქალაქამდე – 18	ქალაქამდის – 3
ცამდე – 53	ცამდის – 15
ზღვამდე – 63	ზღვამდის – 6
სახლამდე – 50	სახლამდის – 12
უნივერსიტეტამდე – 4	უნივერსიტეტამდის – 0
აქამდე – 678	აქამდის – 185
ხვალამდე – 25	ხვალამდის – 7
ნახვამდე – 2	ნახვამდის – 97

## Spelling Postpositions and Nominals with Postpositions

### Summary

The paper discusses the nominals having a postposition merged with the case marker in the modern Georgian literary language. It gives the rules that should be taken into account when spelling them:

1. In the case where a nominal with a postposition is not added by a particle, among the variants **-zeda**, **-zed**, **-ze**, the latter should be considered to be the only correct form in modern Georgian (*tavze*, *xelze*, *miçaze* and not *tavzed*, *xelzed*, *miçazed*).

When adding the particle **-c(a)**, both the old variation (**-zeda**) and the forms with the variant **-ze** that is very common in modern Georgian (*mtazedac* // *mtazec*, *miçazedac* // *miçazec*, *saxlzedac* // *saxlzec*, *čemzedac* // *čemzec*, *megobarzedac* // *megobarzec*, *romelzedac* // *romelzec*) should be considered to be appropriate.

When adding the particle **-ve**, the old forms with the apocopated vowel (**-zed**: *mtazedve*, *miçazedve*), as well as the ones with the variant **-ze** established in modern Georgian should be considered as appropriate, e.g. *saxlzeve*, *čemzeve*, *šenzeve*, etc.

2. In the modern Georgian literary language the only variation is **-ši**. The variation **-šia** may also be used when adding the particle **-c(a)**, e.g. *amašic* and *amašiac*; *mtašic* and *mtašiac*; *baršic* and *baršiac*. The first one should be given a priority, e.g. *amašic*, *mtašic*, *baršic*, etc.

3. When adding the particle **-c(a)**, **-tana** should be considered to be appropriate (*dedastanac*, *megobartanac*, *saxltanac*) while with the forms having the particle **-ve** the variation **-tan** is correct, e.g. *dedastanve*, *zmastanve*, *tkventanve*, *čemtanve*, etc.

4. Among the forms **-gan-c** and **-gan-a-c** derived by adding the particle **c(a)** to the nominals with the postposition **-gan**, the latter that is established in the modern Georgian literary language should be considered as appropriate, e.g. *megobrisaganac*, *zmisaganac*, etc. When adding the particle **-ve**, the unexpanded form is correct, e.g. *zmisagan-ve*, etc.

5. As for **-mde**, **-mdis**, **-mdi**, **-mdin** and similar variations, only **-mde** and **-mdis** (*kalakamde* and *kalakamdis*; *akamde* and *akamdis*) should be used; in modern literary Georgian the variant **-mde** is predominant.

6. In the modern Georgian literary language the forms with the postposition **-gan** and **-dan** (**//-idan**) should be differentiated:

6.1. **-gan** is used when the form with the postposition denotes the material, the source of action, the cause of action and answers the questions “Who from? What from?”, e.g. *čerili miviye amxanagisgan* (*amxanagisagan*); *šakars amzadeben čarxlisgan* (*čarxlisagan*); *mičveva miiyes universiŕetisgan* (*universiŕetisagan*), etc.

6.2. **-dan** (**//-idan**) is used when the form with the postposition expresses the place or time of starting an action and answers the questions “Where from? From what time?”, e.g. *kalakidan čamovida*, *dilidan čvimda*, *samšoblodan dabrunda*, etc.

7. The postposition **-vit** should be added to the expanded singular forms of the dative case (both vowel-base and consonant-base), e.g. *dedasavit*, *mzesavit*, *lomsavit*, *ķacsavit*, while in the nominative case – only to the consonant-base nominals, e.g. *ķacivit*, *megobarivit*, *lomivit*, and in plural – to both the dative and nominative forms, e.g. *ķacebivit*, *megobrebivit*, *dedebivit*, *bavšvebsavit*, *čurčxelebsavit*, etc.

When adding the postposition **-vit** to the personal pronoun, the base of the relevant possessive pronoun should be used and only the variants in the dative case should be considered to be correct, e.g. *čemsavit*, *šensavit*, *čvensavit*, *tkvensavit*, etc.

8. When adding the postpositions **-tvis**, **-ķen** and **-gan** to the genitive forms, both of the variants (expanded and unexpanded) should be considered to be appropriate, e.g. *zmistvis* and *zmisatvis*, *saxliķen* and *saxliķaken*, *megobrisgan* and *megobrisagan*, etc.